„საერთაშორისო აკადემია ლოგოსი“

სახელი, გვარი ..... თარიღი.....2018 წელი

X კლასი

(40 ქულა)

(13) ნაწყვეტი გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „ჩაკლული სული“:

I თამაზმა დაიწყო:

II „ეს ერთი ცხენის ისტორიაა. პოლტავის თუ ვორონეჟის გუბერნიაში რევოლუცია მძვინვარებდა. მთელი სოფელი, განურჩევლად ყველა, დიდი და პატარა, კაცი და ქალი, აღმდგარიყო და ჯოხებით, კომბლებით, ცულებით, ბარებით, იარაღით ერთი მემამულის სახლს თავს დასხმოდა. ეს უკანასკნელი თავისი ოჯახით უკვე გახიზნულიყო. გაბოროტებული გლეხები სასახლეში შეიჭრნენ და რბევა დაიწყეს. რაც ხელში ხვდებოდათ, ყველაფერს ანადგურებდნენ, ყოველი ნივთი მათ მრისხანებას აღვიძებდა. უცნაურია, მხოლოდ ცოტამ თუ აიღო ძვირფასი ნივთები თავისთვის; ცოფმორეულნი განადურების ჟინს შეეპყრო უპირატესად.

III გლეხების ერთი ჯგუფი თავლისკენ გაემართა. კარი ჩამოგლიჯეს და შიგ შეცვივდნენ. ცხენები დაფრთხნენ. ოცამდე ცხენი გამოიყვანეს; მათგან ერთი განსაკუთრებით გამოირჩეოდა: მთლად თეთრი, ლაქების გარეშე, კოხტა, ნატიფძარღვიანი. მისი ყოველი ასო მიწის სიხარული იყო, ყოველი კუნთი - განხორციელებული მზის ტალღა. მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ. გლეხებს თვალები აემღვრათ, ერთ ხანს გაშეშდნენ მისი მშვენებით. ერთმა აღვირით თავისკენ მოქაჩა. ცხენი ყალყზე შეხვდა ხეპრულ საქციელს. ბრბო ავისმომასწავლებლად გაირინდა. უეცრად ვიღაცამ დაიყვირა გახელებით: „ჯიშიანია!“. მესამემ, მეოთხემ, მეხუთემ გაიმეორეს ეს სიტყვა. ბოლოს მთელი მასა უთავბოლოდ ღრიალებდა: „ჯიშიანია, ჯიშიანი!“. შური და რისხვა გამოყმუოდა ამ შეძახილში.

IV აბობოქრებული მასა წინ გაიჭრა, თუმცა არ იცოდა, რა სურდა. ხელები ამოძრავდნენ, ბაგეებს მიეყინა შეძახილი, ტუჩების კუთხეში დუჟი აქაფდა, თითქო ბრბო რაღაცას ელისო. უეცრად ცხენმა გველცემულივით დაიჭიხვინა უცნაურად, ყალყზე შედგა, ადგილიდან მოწყდა და გაჭენდა. გლეხები გაეკიდნენ ცოფისაგან გონებადაბინდულნი. ცხენი გრძნობდა, რომ სიკვდილი მოსდევდა, გიჟივით მიქროდა. ღობესთან მიიმწყვდიეს და ალყა შემოარტყეს. ცხენი ნახტომისთვის მოემზადა, მაგრამ სწორედ ამ დროს ვიღაცამ აღვირს ხელი ჩაავლო. ცხენი შეშინდა წინა ფეხებით ღობეზე ჩამოეკიდა. ცხოველს მთელი ტანი უთრთოდა. როყიოდ დაიყვირა ერთმა: „ტყავი გავაძროთ წყეულ პირუტყვს!“ პირველს მეორე აჰყვა, მალე მრავალი ხმა ღრიალებდა

ერთმანეთში არეული. ბრბო ყმუოდა, შიში და სიძულვილი მოისმოდა ამ გაშმაგებულ ღრიანცელიდან. ელვის სისწრაფით გააჩინეს დანები, ცელები, ნამგლები. ხელები თითქოს სიგიჟეში იმყოფებოდნენ. „ჯიშიანი, ჯიშიანი!" - თავიდან აყმუვლდა ბრბო, აყმუვლდა ისე ყურისწაღებამდე, თუთქოს რაღაცისა ეშინია და ამ უცხო ყმუილში გაგუდვას ლამობსო.

ცხენი ცოცხლად გაატყავეს, - დაასრულა ალმოდებულმა თამაზმა, - ეს არის რევოლუცია".

შემოხაზეთ სწორი პასუხები, ან წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

1. (1) რის განადგურებას ცდილობდნენ გლეხები?
   ა) საკუთარი გლეხური წარსულის;
   ბ) მოსალოდნელი უბედურების;
   გ) თავიანთი მომავლის;
   დ) თავადებსა და გლეხებს შორის სიყვარულის.

2. (1) რისი თქმა სურს ავტორს შემდეგი სიტყვებით: „უცნაურია, მხოლოდ ცოტამ თუ აიღო ძვირფასი ნივთები თავისთვის"?
   ა) გლეხებს თავადების ნივთები გამოუსადეგარი ეგონათ;
   ბ) გლეხები იმდენად გამძვინვარებულნი იყვნენ, რომ ნივთებზე ფიქრი არ შეეძლოთ;
   გ) სახლის მფლობელს ყველაფერი გაეზიდა;
   დ) გლეხებს იმდენად სძულდათ თავადები, რომ მათ ნივთებს არ კადრულობდნენ.
3. (1) რისი შესატყვისი იყო გლეხებისთვის სიტყვა „ჯიშიანი"?
   ა) მიუწვდომელის; ბ) გამორჩეულის;
   გ) სასურველის; დ) ლამაზის.

4. (1)III აბზაციდან ამოიწერეთ სიტყვა, რომლითაც ავტორი აფასებს გლეხების ერთობას:
   .....
5. (1) რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული მოცემულ ციტატაში: „უეცრად ცხენმა გველცემულივით დაიჭიხვინა"?
   ა) ჰიპერბოლა; ბ) გაპიროვნება;
   გ) შედარება; დ) მეტაფორა.
6. (1) რატომ მოკლეს გლეხებმა ცხენი?
   ა) ცხენის გამორჩეულობით გაღიზიანდნენ; ბ) ცხენმა პატრონი გაახსენათ;
   გ) ცხოველზე იყარეს პატრონის ჯავრი; დ) სამივე ჩამოთვლილი ვარიანტი.
7. (1) რისი თქმა სურს ავტორს სიტყვებით: „ხელები თითქოს სიგიჟეში იმყოფებოდნენ".
   ა) გლეხები კარგად ვერ აცნობიერებდნენ, რას სჩადიოდნენ;

ბ) გლეხები აცნობიერებდნენ რას აკეთებდნენ, თუმცა მაინც მოქმედებდნენ;
გ) ცხენმა გლეხები გააგიჟა;
დ) გლეხებს ეგონათ, რომ სიგიჟეს აკეთებდნენ.

8. (1) გლეხებმა ბოლოს კიდევ წამოიყვირეს „ჯიშიანია, ჯიშიანი!", რას გამოხატავდა ეს სიტყვები?
ა) სინანულს, ცხოველის მოკვლის გამო;
ბ) მწუხარებას, რომ მებატონე აღარ ჰყავდათ;
გ) აღიარებას, რომ თავადები მათზე განსაკუთრებულნი არიან;
დ) კმაყოფილებას, მემამულეზე შურისძიების გამო.

9. (5) იმსჯელეთ აღნიშნული მონაკვეთის მთავარი სათქმელის შესახებ:
.....
.....
.....
.....
.....
.....

(7) შეასრულეთ მითითებული დავალებები:

მრავალწერტილის მაგივრად ჩასვით:

1. (1) სიტყვა <u>ზრდილობიანის</u> სინონიმი:
ლევანი..... ბიჭია.

2. (1) სიტყვა <u>ცბიერის</u> სინონიმი:
..... ყმაწვილი სივრცეს გასცქეროდა.

3. (1) სიტყვა <u>გაბედულის</u> ანტონიმი:
ეს ბიჭი ..... არასდროს ყოფილა.

4. (1) სიტყვა <u>დაამშვიდას</u> ანტონიმი:
უცნობების დანახვამ სანდრო .....

შეარჩიეთ სწორი ფორმები:

5. (1) სითხის მიღების ..... ყველა ადამიანს აქვს.
ა) მოთხოვნა ბ) მოთხოვნილება

6. (1) ნინო ..... ამ ადგილზე საუბრობდა.
ა) სწორედ ბ) სწორად

7. (1) რას ნიშნავს <u>ფეხი აითრია</u>?
ა) დააგვიანა ბ) დაეზარა გ) დაზარალდა

(10) **წაიკითხეთ მოცემული ნაწყვეტები და იპოვეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები:**

1. (2) ყველა ჩვენთაგანის სურვილია კარგათ ყოფნა.

2. (4) 7-ე კლასში ნაცნობიდან მოსმენილი ამბავი მორცხვმა გაწითლებულმა გოგონამ უამბო მის მეგობრებს.
3. (4) გივიმ გიორგიმ და ტასომ II-ე კლასის შესახებ ყველაზე საუკეთესო რაღაცეები გაიხსენეს.

(10) არგუმენტირებული ესსე

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სკოლაში მოსწავლეები აუცილებლად ფორმებით უნდა დადიოდნენ.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას, ან უარყავით.

გააანალიზეთ არჩეული თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა გაამყარეთ არგუმენტებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული. დაიცავით ენობრივი ნორმები.

ნაშრომი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

სწორი პასუხები

წაკითხულის გააზრება 1 ქულიანი კითხვები:

კითხვა	1	2	3	4	5	6	7	8
პასუხი	ა	ბ	ბ	ბრბო	გ	გ	ა	დ

ხუთქულიანი პასუხების შეფასების რუბრიკა:

5 ქულა	4 ქულა	3 ქულა	2 ქულა	1 ქულა	0 ქულა
მოსწავლე სწორად იაზრებს ტექსტს და მკაფიოდ აყალიბებს საკუთარ აზრს.	მოსწავლე სწორად იაზრებს ტექსტს, თუმცა მკაფიოდ ვერ აყალიბებს საკუთარ შეხედულებას.	მოსწავლე სწორად იაზრებს ტექსტს, თუმცა ვერ აყალიბებს საკუთარ შეხედულებას.	მოსწავლე არასწორად იაზრებს ტექსტს, თუმცა გააჩნია საკუთარი მოსაზრება საკითხის მიმართ.	მოსწავლე არასწორად იაზრებს ტექსტს და უჭირს საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება.	მოსწავლე ვერ იაზრებს ტექსტს და არ აქვს საკუთარი შეხედულება.

ლექსიკა-ფრაზეოლოგია

1	2	3	4	5	6	7
თავაზიანი	ვერაგი	გაბედული	ააღელვა	ბ	ა	ბ

ტექსტის რედაქტირება:

1 შეცდომა 1 ქულა

1. (2) ყველა ჩვენგანის სურვილია კარგად ყოფნა.

2. (4) მე-7 კლასში ნაცნობისგან მოსმენილი ამბავი მორცხვმა, გაწითლებულმა გოგონამ უამბო თავის მეგობრებს.
3. (4) გივიმ, გიორგიმ და ტასომ II კლასის შესახებ საუკეთესორაღაცები გაიხსენეს.

ესსეს შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	10 - 6 ქულა	5 -1 ქულა	0 ქულა
სათქმელის ნათლად, მკაფიოდ ჩამოყალიბება	მოსწავლე ნათლად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას.	მოსწავლეს უჭირს საკუთარი აზრის გასაგებად ჩამოყალიბება.	მოსწავლე ვერ აყალიბებს საკუთარ აზრს.
მსჯელობის არგუმენტირება	აზრის განსამტკიცებლად მოხმობილია ადეკვატური არგუმენტები.	აზრის განსამტკიცებლად მოყვანილია სუსტი არგუმენტები.	აზრის განსამტკიცებლად ვერ იშველიებს არგუმენტებს.
ნაშრომის სტრუქტურა	ესსეს სტრუქტურა დაცულია და მის ნაწილებს შორის არის ლოგიკური ბმა.	ესსეს სტრუქტურა ნაწილობრივ დაცულია, თუმცა მის ნაწილებს შორის არ არის ლოგიკური ბმა.	ესსეს სტრუქტურა დარღვეულია.
ენობრივი ნორმების დაცვა	ნაშრომში დაშვებულია 5 ან ნაკლები ენობრივი შეცდომა.	ნაშრომში დაშვებულია 5-დან 10-მდე ენობრივი შეცდომა.	ნაშორმში დაშვებულია 10-ზე მეტი ენობრივი შეცდომა.